„უმცირესობასა და უმრავლესობაში მყოფი აქციონერების ინტერესთა ბალანსი ღია ტიპის სააქციო საზოგადოებაში“

სალომე არბოლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის

კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

2020 წელი

1. განაცხადი

წინამდებარე ნაშრომი შედგენილია ჩემს - სალომე არბოლიშვილის მიერ და ასახავს იმ შეხედულებას, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების სამართლისა და ქართული კანონმდებლობის ანაზილის შედეგად ჩამომიყალიბდა უმცირესობასა და უმრავლესობაში მყოფი აქციონერების ინტერესთა ბალანსთან დაკავშირებით ღია ტიპის სააქციო საზოგადოებაში.

წინამდებარე ნაშრომი არ წარმოადგენს პლაგიატს და სრულად გადმოსცემს ავტორის ნააზრევს სადავო საკითხთან დაკავშირებით.

2. ნაშრომის აბსტრაქტი

უმცრესობასა და უმრავლესობაში მყოფი აქციონერების ინტერესთა დაბალანსება და მათი უფლებების დაცვა კორპორაციული სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობა დღითიდღე იხვეწება და კანონმდებლები არსებული ხარვეზების აღმოფხვრას გამალებით ცდილობენ, სამწუხაროდ, პრობლემა, რომელსაც აღნიშნულთან მიმართებით ვაწყდებით, უმცირესობისა და უმრავლესობის ინტერესთა შორის მრავალხმრივი გადაკვეთიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ არის ბოლომდე აღმოფხვრილი.

დღესდღეობით, ღია ტიპის სააქციო საზოგადოებაში უმცირესობაში მყოფი აქციონერების ორი ტიპის შევიწროვების წყაროს ვხვდებით. პირველი მომდინარეობს კორპორაციის მენეჯმენტისგან, ხოლო მეორე უმრავლესობაში მყოფი აქციონერებისგან. თავის მხრივ, უმცირესობაში მყოფი აქციონერების გადაწყვეტილებებიც ძლიერ ზეგავლენას ახდენს, როგორც უმრავლესობაში მყოფ აქციონერებზე, ასევე მთლიანად კორპორაციის სრულფასოვან ფუნქციონირებაზე.

წინამდებარე ნაშრომში, პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებების უკეთ წარმოჩენის მიზნით, ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ასევე არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, განხილული იქნება უმცირესობასა და უმცირესობაში მყოფ აქციონერთა ინტერესები, რომელთა კვეთის უკეთ წარმოსაჩენად, ასევე, წარმოგიდგენთ დეტალურ ცხრილს. იმისათვის, რომ საკითხი ძირფესვიანად იქნეს გამოკვლეული, წინამდებარე ნაშრომში, ასევე, გამოკვეთილი იქნება აქციონერებისა (ე.წ. "shareholders") და კომპანიის სხვა დაინტერესებული პირების (ე.წ. "stakeholders") ინტერესებთა თანაფარდობა.

რამდენად თანაბარმნიშვნელოვნად ითვალისწინებს კორპორაციის ხელმძღვანელობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უმრავლესობასა და უმცირესობაში მყოფ აქციონერთა ინტერესებს? ადეკვატურია თუ არა ქართულ კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი რეგულაციები ინტერესთა ბალანსის შესანარჩუნებლად? არის თუ არა საქართველოში სათანადოდ გათავისებული არსებული პრობლემების აღმოფხვრის აუცილებლობა ქართული ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის?

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხი უარყოფითია, რაც უფრო დაწვრილებით იქნება ილუსტრირებული წინამდებარე ნაშრომში. რის შედეგადაც კიდევ ერთხელ გაითავისებს მკითხველი ქართულ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, მისი დახვეწის აუცილებლობასა და საკითხის მნიშვნელობას.

დასკვნის სახით კი წარმოდგენილი იქნება ის რეკომენდაციები, რისი შესრულებაც, შეიძლება საკითხს სრულყოფილად ვერ დაარეგულირებს, თუმცა კიდევ უფრო მოქნილს გახდის ქართულ კანონმდებლობას, უმცირესობასა და უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს შორის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად და აღნიშნულის დასაბალანსებლად კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.